საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/520
12/08/2025

520-01-2-202508121636

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – გიორგი თევდორაშვილის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძისა და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 25 ივლისის №3/7/1458,1556 განჩინებასთან დაკავშირებით

1. გამოვხატავთ რა ჩვენი კოლეგებისადმი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებისადმი პატივისცემას, ამავე დროს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამთ განსხვავებულ აზრს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 25 ივლისის №3/7/1458,1556 განჩინებასთან დაკავშირებით.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 25 ივლისის №3/7/1458,1556 განჩინებით დადგენილი სტანდარტების, შესაფასებელი მოცემულობის იდენტიფიცირება

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21^1 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა – გიორგი კვერენჩხილაძემ, დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს №1458 კონსტიტუციური სარჩელისა („ჯემალ დუმბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და №1556 კონსტიტუციური სარჩელის („ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) პლენუმის მიერ განხილვის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობდა განსახილველი საქმიდან, განსხვავდებოდა სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისგან. კერძოდ, მისი განმარტებით, პირის უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის დროს მოქმედმა, არამედ,

საქართველო, ქ. თბილისი, 0186
6010, კ. გამსახურდიას ქ. №8-10,
ტელ.: (+995422) 27 00 99
ფაქსი: (+995422) 27 42 10
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

Georgia
8 – 10, K. Gamsakhurdia Str., N 6010
Tel. (+995422) 27 00 99
Fax: (+995422) 27 42 10
E – mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

სარჩელის რეგისტრაციის მომენტისათვის ძალადაკარგულმა ნორმატიულმა აქტმაც. შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაციით, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის დროს ძალადაკარგული ნორმები, გარკვეული წინაპირობების არსებობისას, შესაძლებელია, იყოს დასაშვები დავის საგანი საკონსტიტუციო კონტროლის, ისევე, როგორც ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნებისთვის. შუამდგომლობის ავტორის პოზიციით, მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ძალადაკარგული ნორმატიული აქტის/ნორმის კონსტიტუციურობაზე, რადგან მოსარჩელე მხარეს გააჩნია მისი არაკონსტიტუციურად ცნობის ინტერესი.

3. №1458 და №1556 კონსტიტუციური სარჩელებით, მათ შორის, სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი დებულებების კონსტიტუციურობა, რომლებიც, საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ძალადაკარგულად გამოცხადდა. შესაბამისად, №1458 და №1556 კონსტიტუციურ სარჩელებზე გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადასაწყვეტი იყო არსებითი საკითხი – უფლებამოსილია თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, არსებითად განსახილველად მიიღოს და შეაფასოს კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანის/რეგისტრაციის მომენტისათვის ძალადაკარგული ნორმატიული აქტები.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებმა, №3/7/1458,1556 განჩინებაში, ძალადაკარგულ ნორმაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება არ მიიჩნიეს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის მოთხოვნად და, შესაბამისად, მასზე არც საკონსტიტუციო კონტროლის განვრცობა ჩათვალეს მიზანშეწონილად. ძალადაკარგულ ნორმებზე მსჯელობის დაუშვებლობა, ჩვენი კოლეგების ხედვით, არსებითად სამ არგუმენტს დაუკავშირდა: 1. ჩვეულებრივ, სწორედ იურიდიული ძალის მქონე ანუ მოქმედ კანონმდებლობას გააჩნია იმის პოტენციალი, რომ კონფლიქტი გამოიწვიოს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებთან და თავისუფლებებთან, პირდაპირი და უშუალო ზემოქმედება მოახდინოს ამ უფლებებით სარგებლობის ფარგლებზე და შეზღუდოს ისინი; 2. საქართველოს კონსტიტუცია, გარდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებისა, არ ადგენს რაიმე განსხვავებული იურიდიული შედეგის ალტერნატივას; 3. საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა

ორიენტირებულია არა წარსულში დარღვეული უფლებების აღდგენაზე, არამედ უფლებათა დარღვევის სამომავლო პრევენციაზე.[1]

5. ვერ გავიზიარებთ ჩვენი კოლეგების მსჯელობას საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატის, როლის, საკონსტიტუციო კონტროლოს ქართული მოდელის, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგების გააზრებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ კოლეგების მიერ განვითარებული მსჯელობა, რიგ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს უუნაროდ აქცევს, მოახდინოს დარღვეულ უფლებაზე რეაგირება და, ამ გზით, შეასრულოს საკუთარი კონსტიტუციური ვალდებულება. მეორე მხრივ, არ ვეთანხმებით ძალადაკარგულ ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მოსამართლეებისეულ ხედვას, არ ვიზიარებთ ძალადაკარგული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის რისკებს, რომლებიც, მართალია, ზოგადად, არსებობს, თუმცა არა ყოველთვის - ზოგ შემთხვევაში, ამგვარი რისკები, ჰიპოთეტურია, რიგ შემთხვევებში – ნაკლებად მნიშვნელოვანი, უფლებების დარღვევის აღდგენის ინტერესთან მიმართებით.

6. გარდა ამისა, ამავე განჩინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებმა ასევე შეაფასეს მოსარჩელეთა კონკრეტულ საქმეზე ირიბი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენების საკითხი, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის გავლენაუნარიანობა მათ მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენზე და დაადგინეს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა არასწორ ვარაუდებსა და წარმოდგენებს ემყარებოდა, ერთი მხრივ, ირიბი ჩვენებების გამოყენების გამო მათი უფლებების ნაგულვებ დარღვევასთან (რომ თითქოს მათი ბრალი უტყუარად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ იყო დამტკიცებული) და, მეორე მხრივ, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის გზით, დარღვეულად ნაგულვები უფლებების, დიდი ალბათობით, აღდგენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.[2]

7. ვერ დავეთანხმებით ვერც გამამტყუნებელი განაჩენის უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანის კონსტიტუციური პრინციპის გააზრებას, ირიბი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენების დაშვებას, რაც, გარდა იმისა, რომ შინაარსობრივად საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციურ სტანდარტთან შეუთავსებლად მიგვაჩნია, დამატებით, ხსენებულ საკითხთან მიმართებით,

[1] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-3–21-ე პარაგრაფები.
[2] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის 22-ე-31-ე პარაგრაფები.

შემოთავაზებული სტანდარტები არც საკონსტიტუციო სასამართლოს ადრინდელ პრაქტიკას შეესაბამება.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების კომპეტენციის გააზრება და ძალადაკარგულ ნორმებზე მსჯელობის კონსტიტუციური მანდატი

8. №3/7/1458,1556 განჩინებით სადავოდ გამხდარ საკითხთან მიმართებით, პირველ რიგში, პრობლემურად გვესახება, ზოგადად, კონსტიტუციური ორგანოს, კონკრეტულ შემთხვევაში კი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლების შემოთავაზებული ანალიზი/შეფასება, კერძოდ, კონსტიტუციური უფლებამოსილების განმარტების შესაძლებლობის დაშვება კონსტიტუციის მიღმა, სხვა სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით.

9. იმავდროულად, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეები, ვერ დავეთანხმებით პლენუმის წევრების მოსაზრებას საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე ძალადაკარგულ ნორმებზე მსჯელობის უფლებამოსილების არარსებობის თაობაზე. მივიჩნევთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების კვალდაკვალ, ქმნის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ამ ღირებულების დაცვის ინსტიტუციურ მექანიზმს, ინსტრუმენტს. შესაბამისად, როდესაც საფრთხის ქვეშ არის პირის ესა თუ ის უფლება, მას უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა.

10. პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა სახის აქტზე მსჯელობის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, მოითხოვდა, მისი (საკონსტიტუციო სასამართლოს) როლისა და ფუნქციის გააზრებით, საქართველოს კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის გაანალიზებას. საქართველოს კონსტიტუციის იდენტობას, ქვაკუთხედსა და ძირითად ფასეულობას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს. აღნიშნული ასახვას პოვებს კონსტიტუციის ერთიან არქიტექტურაში, რომელიც განსაზღვრავს ხელისუფლების თითოეული შტოს, ორგანოს ვალდებულებას, ემსახუროს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სრულად და ადეკვატურად განხორციელებას კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. კონსტიტუციური წესრიგის ფუნქციონირების, ხელისუფლების განხორციელებისა და ძირითადი უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის პროცესში უნიკალური როლი საკონსტიტუციო სასამართლოს აკისრია, რომელმაც,

როგორც კონსტიტუციის მთავარმა მცველმა და განმმარტებელმა, უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირება (ხელშეწყობა), ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების მხრიდან, ადამიანის უფლებებში არათანაზომიერი ჩარევისაგან (უფლების დარღვევისაგან) დაცვა.[3]

11. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების სრულფასოვნად განხორციელება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კონსტიტუციური წესრიგის გამართული ფუნქციონირებისათვის. ის, თუ რამდენად ქმედითი იქნება საკუთარი მანდატის შესრულებისას სასამართლო, პირველ რიგში, სწორედ მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებზე, უფლებამოსილების ადეკვატურ, სრულყოფილ განხორციელებაზე, კომპეტენციის რეალური და ქმედითი კონსტიტუციურსამართლებრივი მექანიზმებით უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ნებისმიერი საკითხის შეფასებისას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციასა და უფლებამოსილების ფარგლებს ეხება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს) არსი და დანიშნულება.

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური მანდატის ფუნდამენტურ მნიშვნელობას მისი უნიკალურობა განაპირობებს. კონსტიტუციით, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, წინ აღუდგეს ხელისუფლების თვითნებობას, ამა თუ იმ ორგანოს მხრიდან უფლებების განზრახ თუ უნებლიე დარღვევას. საკონსტიტუციო კონტროლის არაეფექტიანი, არაჯეროვანი განხორციელება საფრთხის ქვეშ აყენებს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას. სხვაგვარად, საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც არ/ვერ უზრუნველყოფს ჯეროვანი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას, ვერ დაიცავს კონსტიტუციას და, შესაბამისად, ადამიანს, როგორც უმთავრეს ღირებულებას.

13. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის მეშვეობით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ სასამართლოს ეფექტიანობა წარმოდგენს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასაც მოიცავს, უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის დარღვეულ უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და, შესაბამისად, წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტიან საშუალებას. მოსარჩელეს უნდა

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

ჰქონდეს მოლოდინი და რეალური შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი უფლებები საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური უფლებამოსილებების ფარგლებში.[4] შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის განმსაზღვრელი და სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი ნორმების მიზანი ... [საქართველოს კონსტიტუციის] 31-ე მუხლით აღიარებული უფლების რეალიზაციის და კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სრულყოფილი, ადეკვატური დაცვისთვის აუცილებელი ბერკეტის შექმნაა“.[5]

14. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების გააზრება უნდა მოხდეს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული მანდატის გათვალისწინებით. იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ეფექტიანად შეასრულოს თავისი ფუნქცია – დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და უზრუნველყოს ხელისუფლების კონსტიტუციური ბოჭვა, მას უნდა გააჩნდეს ამის რეალური შესაძლებლობა. ბუნებრივია, აღნიშნული, თუნდაც უკიდურესად კეთილშობილური განზრახვებით, არ გულისხმობს, სასამართლოს მხრიდან, საკუთარი კომპეტენციის თვითმიზნურ გაფართოებას, მის კონსტიტუციურ წესრიგში მოუაზრებელი შესაძლებლობებით აღჭურვას, ისევე, როგორც სასამართლოს თვითშეზღუდვა არ უნდა იქცეს საკუთარი უფლებამოსილებების დათმობის, შებოჭვის, დაკნინების წინაპირობად და გამართლებად.

15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის საფუძველი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის თანახმადაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ფიზიკური, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის, ასევე საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ან მთავრობის სარჩელისა და საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას და იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე. სწორედ აღნიშნული დებულება, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან ერთად, განამტკიცებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, რომლის სათანადო განმარტების პირობებშიც უნდა განისაზღვროს, უფლებამოსილია

[4] საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)” და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

[5] საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, არსებითად განსახილველად მიიღოს და შეაფასოს კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანის/რეგისტრაციის მომენტისათვის ძალადაკარგული ნორმატიული აქტები.

16. იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის თითოეული დეტალის კონსტიტუციურ დონეზე განსაზღვრა, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნორმის განმარტების მთავარ მასშტაბს უნდა წარმოადგენდეს, სწორედ, კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგი, პრინციპები და მათი სათანადო გააზრება. სხვა შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო დასცილდება საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთებას.

17. გასული წლების მანძილზე ასეთი იყო და, ვიმედოვნებთ, მომავალშიც ასეთი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, ხედვა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ყოველთვის ცალსახად მიუთითებდა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება მხოლოდ ნორმის ტექნიკური, დოგმატური ინტერპრეტაცია არ არის და ვერც იქნება. კონსტიტუციის განმარტების პროცესში, სასამართლო, თითოეული მოსამართლე მუდმივად ეძებს ბალანსს კონსტიტუციის ტექსტისადმი ერთგულებასა და მის ღირებულებათა სათანადოდ გააზრებას შორის. მეთოდოლოგია, რომელსაც სასამართლო ძირითადი კანონის ტექსტის ინტერპრეტაციისას იყენებს, შესაძლოა, იყოს განსხვავებული, თუმცაღა თავად საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია კონსტიტუციის მოთხოვნებით, მათ შორის, იმ ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპებით, რომლებიც საფუძვლად უდევს კონსტიტუციას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, „საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანს და მის უფლებებს, როგორც უმაღლეს ფასეულობას. ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე. ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის ნორმები არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სახელმწიფომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხსნას პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევისას და დაზარალებულს არ მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა“.[6]

18. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების მატერიალურ მასშტაბს. აღნიშნული ნორმა *expressis verbis* მიუთითებს „ნორმატიულ აქტზე“ და არ აზუსტებს, არ შემოფარგლავს მას მოქმედების

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

დროით. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც კონსტიტუციის ძირითადი წესრიგი, სტრუქტურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა თუ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველსაყოფად ანიჭებს უფლებამოსილებას (გარდაქმნილს ვალდებულებად), შეაფასოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან თავსებადობის საკითხი, აქტის ძალადაკარგულობა, რაც ფორმალური მახასიათებელია და არსებითად არ ცვლის უფლების დარღვევის ფაქტს, ვერ გამორიცხავს მის მიერ ამ აქტის შეფასების შესაძლებლობას. სხვაგვარი განმარტება აკნინებს საკონსტიტუციო სასამართლოს როლს, მის ქმედითობას და, შედეგად, უარყოფს საკონსტიტუციო კონტროლის სუბსტანციურ ბუნებას.

19. განსახილველ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის მომენტისათვის, ძალადაკარგული ნორმის კონსტიტუციურობის კონტროლის აუცილებლობას განაპირობებს უფლებების შესაძლო განგრძობადი დარღვევა და არა იმ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება, რომელსაც, ზოგადად, პირის უფლებებზე ზემოქმედების რესურსი აწმყოში არ გააჩნია. კონსტიტუციისთვის, ეს უფლებები მუდმივი სიკეთეა და სახელმწიფოს მიერ მათი დაცვის განუხრელი, უპირობო ვალდებულება არ შემოიფარგლება კონკრეტული დროით.

20. ნათელია, რომ, რიგ შემთხვევებში, ადამიანის უფლებების დარღვევას იწვევს არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე კვლავ მოქმედი ნორმატიული აქტი, არამედ აქტი, რომელიც ფორმალურად ძალადაკარგულია, რომელიც აღარ არეგულირებს ახალ სამართლებრივ ურთიერთობას, თუმცა მის საფუძველზე დამდგარი სამართლებრივი შედეგი კვლავაც განგრძობადია. აღნიშნული არგუმენტაცია ედო საფუძვლად მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძის შუამდგომლობას, როდესაც ის პრაქტიკის დაძლევის მიზნით, საქმეს განსახილველად გადასცემდა პლენუმს. ეს მსჯელობაა წარმოდგენილი კონსტიტუციურ სარჩელებში, რომელთა თანახმადაც, მოსარჩელე მხარე ითხოვდა ფორმალურად ძალადაკარგული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებას. ასეთ პირობებში, იმის გააზრებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის ღირებულებათა წესრიგი ადამიანის უფლებების დაცვას ეფუძნება, ნებისმიერი ნორმატიული აქტი, რომელიც, რაიმე ფორმით, არღვევს ან მომავალში დაარღვევს ძირითად უფლებებს, უნდა ექვემდებარებოდეს საკონსტიტუციო კონტროლს. ამდენად, მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილის კონსტიტუციური საფუძველი მისი მანდატია და არ საჭიროებს არსებულისგან განსხვავებულ, რაიმე დამატებით სამართლებრივ გაფორმებას, საკანონმდებლო მოწესრიგებას. უფრო მეტიც, ნებისმიერი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც დააკნინებს საკონსტიტუციო

სასამართლოს როლს, შეამცირებს მის ეფექტიანობას, საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო იქნება.

21. შესაბამისად, როდესაც კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, აღჭურავს ნორმატიულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით, ამ კომპეტენციის ქვეშ უნდა მოვიაზროთ, მათ შორის, ფორმალურად ძალადაკარგული და შინაარსობრივად მოქმედი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობა.

22. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკონსტიტუციო კონტროლის დაკავშირება სამართლებრივი აქტის ფორმალურ სამართლებრივ მდგომარეობაზე, ფორმალურად, იგი მოქმედია თუ ძალადაკარგული და, შესაბამისად, სამართალშემოქმედის დინამიკაზე დაქვემდებარება, არაგონივრულად გაართულებს საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვას, დაუშვებს სამართალშემოქმედებითი პროცესით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობას. ეს კი უარყოფითად აისახება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის უზენაესობის, კონსტიტუციური კანონიერების და კონსტიტუციით აღიარებული უფლებების და თავისუფლებების დაცვის ეფექტიან უზრუნველყოფაზე. სასამართლოს მხრიდან, ამგვარი ფორმალისტური მიდგომა ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის არსს – უზრუნველყოს კონსტიტუციის უზენაესობის, კონსტიტუციური კანონიერებისა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების ეფექტიანი დაცვა. შესაბამისად, სამართალშემოქმედებითი პროცესის ეფექტიანი კონტროლის არარსებობა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციურ დანიშნულებას მნიშვნელოვნად აკნინებს და, რეალურად, ქმნის სივრცეს კონსტიტუციური წესრიგით მანიპულირებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის ნორმები არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სახელმწიფომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხსნას პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევისას და პირს არ მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტიანი შესაძლებლობა.[7]

23. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის, მით უფრო, საკუთარი უფლებამოსილების დამდგენი ნორმის საბოლოო განმარტება არის საკონსტიტუციო სასამართლოს და არა კანონმდებლის პრეროგატივა. ეს უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ექსკლუზიურად, რაც უზრუნველყოფს მისი (სასამართლოს) ფუნქციური ავტონომიის დაცვას. აღნიშნულის გამოხატულება იყო, საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული აქტის შეფასებისას, საკუთარი (სასამართლოს) საქმიანობის მოწესრიგების, თავისუფლების დისკრეციის ზღვრის

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

იქ გავლება, სადაც რისკის ქვეშ დადგება საკონსტიტუციო კონტროლის სათანადო განხორციელება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მოწესრიგების პროცესში საკანონმდებლო ორგანო სარგებლობს შეზღუდული დისკრეციით. კანონმდებლის დისკრეციის ზღვარი გადის იქ, სადაც საფრთხე ექმნება საკონსტიტუციო სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას, მის მიერ საკონსტიტუციო კონტროლის ჯეროვნად, დროულად, ეფექტიანად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას.[8]

24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც მხარე სადავოდ ხდიდა კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის/შემოტანის მომენტისათვის ძალადაკარგული ნორმის კონსტიტუციურობას და, მით უფრო, იმ ვითარებაში, როდესაც ძალადაკარგულ ნორმას გააჩნდა მოსარჩელის უფლების შეზღუდვის განგრძობადი ხასიათი. ბუნებრივია, ამგვარი რეალობა შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო წინარე პრაქტიკითაც, მოსარჩელეთა ცოდნით, რომ ამ შემთხვევაში სარჩელის წარდგენით, ვერ შეძლებდნენ საკუთარი უფლებების დაცვას.

25. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ განსხვავებული აზრის ავტორ მოსამართლეებს (ისევე, როგორც ძირითადი აზრის ავტორებს) დღემდე, საკუთარი კომპეტენციის განხორციელებისას, საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა არ დაგვიტოვებია იმ ძალადაკარგული ნორმების შეფასების შესაძლებლობა, რომლებსაც გააჩნდა ადამიანის თავისუფლების განგრძობადად შეზღუდვის რესურსი. არ გვიმსჯელია წინარე პრაქტიკის კონსტიტუციასთან თავსებადობის საკითხზე და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც შესაძლებლობა მოგვეცა, ადამიანის ძირითადი უფლებების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, განგვემარტა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, შეგვეცვალა დადგენილი სტანდარტები.

26. საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც სტატიკურად იმეორებს საკუთარ დოქტრინებს და ვერ ახდენს ადამიანის უფლებების დაცვის საჭიროებიდან, გამოწვევებიდან გამომდინარე პრაქტიკის დინამიკურ განვითარებას, წინარე მიდგომების გადააზრებას, აფერხებს საკუთარი უმთავრესი ფუნქციის შესრულებას - ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვას, რაც, შედეგად, არსებითად აზიანებს საკონსტიტუციო კონტროლის მიზნების სრულყოფილ რეალიზებას.

---

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ გავიზიარებთ ძირითადი აზრის ავტორთა განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ მოიაზრებს ან/და რაიმე ფორმით გამორიცხავს კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის/შემოტანის მომენტისათვის ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. კონსტიტუციური ტექსტის ამგვარი ინტერპრეტაცია ვერ პასუხობს მის სულისკვეთებას, არსებით იდენტობას.

3. მოსაზრება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 25 ივლისის №3/7/1458,1556 განჩინებით ძალადაკარგულ ნორმებზე, საკონსტიტუციო კონტროლის გავრცელებაზე უარის თქმის ცალკეულ არგუმენტებთან დაკავშირებით

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კომპეტენციის არასწორად გააზრების პარალელურად, ძალადაკარგულ ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის გამორიცხვა, ჩვენი კოლეგების მხრიდან, არსებითად, დაუკავშირდა არგუმენტაციას, რომ ჩვეულებრივ, სწორედ იურიდიული ძალის მქონე აქტს გააჩნია პოტენციალი, კონფლიქტი გამოიწვიოს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებთან და თავისუფლებებთან. იმავდროულად, მათვე აღნიშნეს ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია, გარდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებისა, არ ადგენს რაიმე განსხვავებულ იურიდიულ შედეგს. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის შემადგენლობის პოზიციით, საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა ორიენტირებულია არა წარსულში დარღვეული უფლებების აღდგენისაკენ, არამედ უფლებათა დარღვევის სამომავლო პრევენციაზე. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობა, თვისობრივად, არ არის მართებული, არც ცალ-ცალკე და არც კუმულაციურად, არ წარმოადგენს არგუმენტს ძალადაკარგულ ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის გამოსარიცხად. უფრო მეტიც, განსხვავებული აზრის ავტორები ვადასტურებთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არასოდეს უმოქმედია საკონსტიტუციო კონტროლის ამგვარი გააზრებით, უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მხოლოდ მომავალზე აქცენტირებითა და წარსულში დარღვეული უფლებების ფაქტების უგულებელყოფით.

29. პირველ რიგში, განვმარტავთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძალადაკარგულ ნორმებზე მსჯელობის აბსოლუტურ, ბლანკეტურ დაშვებას, არც განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეები ვიზიარებთ. ბუნებრივია,

ვიაზრებთ, შესაბამისი დაცული ინტერესის არარსებობისას, ნებისმიერ ძალადაკარგულ ნორმაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუტის გადატვირთვის რისკებსა და მისგან მომდინარე შესაძლო სირთულეებს, სამართლებრივი უსაფრთხოების თუ სხვა ინტერესებს. იმავდროულად, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნულ ინტერესთა დაბალანსებას უზრუნველყოფდეს ცალკეული საკანონმდებლო მექანიზმები ანდა თავად სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეაფასებს სარჩელის რეგისტრაციამდე ძალადაკარგული ნორმის არსებითად განსახილველად მიღების აუცილებლობას. თუმცა მიგვაჩნია, რომ მაშინ, როდესაც მოსარჩელეს გააჩნია ძალადაკარგული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის დასაბუთებული ინტერესი, ნორმა არ უნდა დარჩეს საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა და წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელები, სწორედ ამგვარ შემთხვევას წარმოადგენს.

30. ვერ დავეთანხმებით ხედვას, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის რესურსი, მხოლოდ მოქმედ ნორმებს გააჩნია. ძალადაკარგულად ცნობის მიუხედავად, ნორმების გარკვეული კატეგორია, უფლებების დარღვევის თვალსაზრისით, შესაძლოა, იყოს განგრძობადი ეფექტის მქონე, მათ საფუძველზე წესრიგდებოდეს გარკვეული ურთიერთობები და პირებს აკისრებდეს მიმდინარე ვალდებულებებს. მაგალითად, წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელების ფარგლებში, მოსარჩელეები სწორედ იმ გარემოებაზე აპელირებენ, რომ ძალადაკარგული, მათი პოზიციით – არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენების შედეგად, ისინი დღესაც საპატიმრო სასჯელს იხდიან, იმავდროულად, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში შეიძლება იყოს სხვა არაერთი პირი.

31. იმავდროულად, ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგის მარეგლამენტირებელი ნორმა შესაძლოა, გახდეს მისი (სასამართლოს) კომპეტენციის ფარგლების დავიწროების მექანიზმი. როგორც აღინიშნა, განსახილველ საქმეზე, შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენს იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც, მართალია, ფორმალურად, კანონის მიზნებისთვის, ძალადაკარგული აქტია - ვეღარ არეგულირებს მომავალ ურთიერთობებს, თუმცა წარსულში დაწყებულ ურთიერთობებზე სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, მათზე ზემოქმედების შესაძლებლობა და, შედეგად, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის რესურსი კვლავ გააჩნიათ. შესაბამისად, კანონის მიზნებისთვის *de jure* ძალადაკარგულობის მიუხედავად, ასეთი ნორმატიული აქტი შესაძლოა, პრაქტიკულად გამოსაყენებლი იყოს მთელი რიგი ურთიერთობისთვის. აქედან გამომდინარე, მცდარი იქნება აქტის კანონით განსაზღვრული ძალადაკარგულობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი არაკონსტიტუციურად, ძალადაკრგულად ცნობის შედეგად წარმოშობილი

სამართლებრივი შედეგების იდენტურად მიჩნევა. იმ შემთხვევებში, როდესაც ნორმატიული აქტი ფორმალურად ძალადაკარგულია კანონით განსაზღვრული მიზნებისთვის, შესაძლოა, იგი კვლავ მოქმედებდეს კონსტიტუციის მიზნებისთვის და იწვევდეს ძირითადი უფლებების დარღვევას. ამ ვითარებაში, არაფერი გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნობას იმ ურთიერთობებისათვის, რომლებშიც იგი კვლავ იწვევს სამართლებრივ შედეგებს.

32. ამასთანავე, წინამდებარე განჩინებით, შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვა, განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე, ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, მასზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით და დადგინდა, რომ შესაძლებლია, ადამიანის უფლებათა დაცვის მოტივით, სასამართლომ იმსჯელოს კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის/შემოტანის შემდეგ, მაგრამ არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე, ძალადაკარგულ ნორმებზე, მაგალითად, მაშინ, როდესაც დროულად ვერ მოხერხდა საკონსტიტუციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღება სარჩელის მისაღებობის საკითხზე, ამავდროულად, დასტურდება სარჩელის საფუძვლიანობა და მასზე წარმოების გაგრძელების მიმართ მოსარჩელის რეალური დაინტერესება.[9] ვიზიარებთ აღნიშნულ სტანდარტს და ვთვლით, რომ იგი წინგადადგმული ნაბიჯია ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა ის მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ჩვენს მსჯელობას და აცდენილი, წინააღმდეგობრივია იმ ლოგიკასთან, რასაც ძირითადი აზრის ავტორი მოსამართლეები გვთავაზობენ. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციით მოცემული გადაწყვეტა, რომ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის თანმდევი შედეგი მისი ძალადაკარგულად გამოცხადებაა, ხდება ამოსავალი წერტილი მოსამართლეებისათვის, დაასკვნან, რომ საქართველოს კონსტიტუცია გამორიცხავს ძალადაკარგულ ნორმებზე მსჯელობის შესაძლებლობას. მაშინ, როგორ უშვებს იგივე კონსტიტუციური წესრიგი, განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე, ძალადაკარგულ ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას?! რა სხვაობაა, მოსარჩელის ინტერესის არსებობისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის შემთხვევაში, ნორმა კონსტიტუციური სარჩელის შემოტანამდე დაკარგავს ფორმალურად ძალას, თუ კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის შემდგომ, თუმცა არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე?!

33. გარდა ამისა, ვერ დავეთანხმებით ჩვენი კოლეგების ხედვას, რომ საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა წარსულში დარღვეული უფლებების აღდგენისაკენ კი არ

[9] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-7 პარაგრაფი.

არის ორიენტირებული, არამედ მიმართულია უფლებათა დარღვევის სამომავლო პრევენციაზე. როგორც აღინიშნა, ჩვენი კოლეგების შეფასებით, არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს ნორმა, რომლის გამოყენების შედეგები (უფლებების დარღვევა), შესაძლოა აღმოფხვრილი ან ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის, ვერ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გადამწყვეტი.[10]

34. ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცებისა და მომავალში უფლების დარღვევის პრევენციის მიღმა, ინდივიდუალური უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული, უპირველესად, დასტურდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი საერთო სასამართლოს წარდგინების ინსტიტუტით. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობისა და ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმს ადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. წარდგინების ინსტიტუტი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნდამენტური გარანტიაა, რომელიც საშუალებას აძლევს საერთო სასამართლოებს, თავიდან აიცილონ, სავარაუდოდ, არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება. ამასთან, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა კონსტიტუციურ ღირებულებებს პრაქტიკულ და რეალურ ძალას სძენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და წარმოადგენს საერთო სასამართლოების საქმიანობაში კონსტიტუციის მოთხოვნების გათვალისწინების, დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიან მექანიზმს. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვა, თავისთავად, მოიაზრებს საერთო სასამართლოში საქმის განხილვის შეჩერებას საკონსტიტუციო სამართალწარმოების დასრულებამდე და, შესაბამისად, საქმის არსებითად გადაწყვეტის გადავადებას.[11] ამდენად, კონსტიტუციური წარდგინების ინიცირებისას, კონკრეტულ საქმეზე

[10] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-18 პარაგრაფი.

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის №3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-12.

გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის გაადაწყვეტამდე, უპირობოდ ჩერდება საერთო სასამართლოებში საქმის წარმოება.

35. ცალსახაა, რომ მოქმედი კონსტიტუციური სისტემა, წარდგინების მექანიზმის გამოყენებით, უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამომავლოდ უფლებების დარღვევის პრევენციას, არამედ ასევე ორიენტირებულია სამართალწარმოების მონაწილის ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე. სრულებით შესაძლებელია, წარდგინების საგანს წარმოადგენდეს ნორმა, რომელიც ფორმალურად ძალადაკარგულია, მაგრამ მოსამართლისთვის იგი წარმოადგენს გამოსაყენებელ კანონს. საერთო სასამართლოს მოსამართლე სწორედ იმიტომ მიმართავს წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ, მისი აზრით, არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება არ მოხდეს მის წარმოებაში არსებული კონკრეტული საქმის განხილვისას და ამით, უპირველეს ყოვლისა, არ დაირღვეს იმ კონკრეტული პირის კონსტიტუციური უფლება, რომლის მიმართაც შეიძლება ნორმა იქნეს გამოყენებული. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, საერთო სასამართლოს მოსამართლის ქმედება მიმართულია მოცემულ მომენტში კონკრეტული პირის უფლების დაცვისკენ და არა უფლების, ზოგადად, სამომავლო დარღვევის თავიდან ასაცილებლად. თუკი საკონსტიტუციო სასამართლოს არ ექნებოდა შესაძლებლობა, ასეთ შემთხვევაში ემსჯელა წარდგინებაში მითითებული ნორმის კონსტიტუციურობაზე, წარდგინების ინსტიტუტი მნიშვნელოვნად დაკარგავდა აზრს. ხოლო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, მოხდეს პირთა კონსტიტუციური უფლებების სრულფასოვანი რეალიზაცია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

36. მეტიც, ის რომ საქართველოს კონსტიტუცია, არსებული კონსტიტუციური კონტროლი, ინდივიდუალური უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული, დასტურდება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებში, ზოგ შემთხვევაში, ექსპლიციტურად მითითებული არგუმენტაციით, სხვა შემთხვევაში კი, ნაგულისხმევი მსჯელობებით: 1. საკონსტიტუციო სასამართლო არაერთ აქტში განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, მათ შორის, მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვისა და უფლების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას.[12] ამ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვა ეფექტიანად შეიძლება მივიჩნიოთ, თუკი იგი პასუხობს სამართლიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს, იძლევა უფლების დაცვის, მისი დარღვევის პრევენციისა და დარღვეული უფლების აღდგენის რეალურ და არა ილუზორულ

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის №1/1/1312 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

შესაძლებლობას.[13] საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებში პირდაპირ არის მითითებული, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება, მათ შორის, მოიაზრებს საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტიანი მექანიზმის შექმნას; 2. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აფასებს, რომელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისადმი აქვს მოსარჩელე მხარეს ინტერესი: ძალადაკარგული ნორმისადმი, თუ მისი შესატყვისი მოქმედი წესისადმი. სწორედ აღნიშნულზე სწორებით წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლო შესაფასებელ მოცემულობას.[14] მაშასადამე, იგი ორიენტირებულია არა მხოლოდ მომავალზე – ავტომატურად, არ აფასებს კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის დროს სადავოდ ქცეული მოქმედი და შემდგომ ძალადაკარგულად ცნობილი ნორმის შესატყვის მოქმედ რეგულირებას, არამედ კონცენტრირდება პირთა დარღვეული უფლებების აღდგენის შესაძლებლობაზე, კერძოდ კი, ადგენს, რომელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მიმართ აქვს მოსარჩელე მხარეს ინტერესი; 3. არა უმთავრესად მომავალზე ორიენტირება, არამედ ყველა დარღვეულ უფლებაზე ეფექტიანი რეაგირება დაედო საფუძვლად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს ფორმალურად ძალადაკარგულ, თუმცა შინაარსობრივად, მატერიალურად, მოქმედ ნორმატიულ აქტებზე.[15]

37. იმავდროულად, ჩვენი კოლეგები განმარტავენ ძალადაკარგულ ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების რისკებს და ადგენენ, რომ ძალადაკარგული ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებამ შეიძლება, წარმოშვას ახალი, ძნელად გადასალახი და გაუთვალისწინებელი სირთულეები პროცედურული და სხვა თვალსაზრისით, წარმოქმნას მძიმე ტვირთი

---

[13] იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

[14] მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის №1/3/697 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“; იხ., ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის №1/4/1300 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი გულაბერიძე და ბადრი შუშანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[15] მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

მართლმსაჯულების სისტემისათვის, სერიოზულად შეაფერხოს სამართალწარმოების პროცესი, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი საფრთხეები სხვა პირთა, მათ შორის, მხარეთა ლეგიტიმური ინტერესებისათვის, გამოიწვიოს არაერთ სფეროში სამართლებრივი გაურკვევლობა, ზიანი მიაყენოს ინდივიდთა ლეგიტიმური მოლოდინების დაცვის პრინციპს და ამით ფუნდამენტურად შეარყიოს სამართლებრივი სტაბილურობა.[16]

38. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული რისკები არსებობს, ზოგადად, ნებისმიერი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისას და ეს რისკები არ უკავშირდება მხოლოდ ან უმთავრესად ძალადაკარგულ ნორმებს. კერძოდ, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისას, ამ ნორმაზე დაყრდნობით, შესაძლოა არაერთი ურთიერთობა იყოს მოწესრიგებული, დავა გადაწყვეტილი. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რა გავლენა აქვს ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, ამ ნორმის საფუძველზე გადაწყვეტილ დავებზე. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საკითხი მოითხოვს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტების კონსტიტუციის შუქზე განმარტებას, რაც წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საქმეს და საკითხის სირთულის გათვალისწინებით, აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული.[17] იმავდროულად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზეც კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის საფუძველს.[18] მაშასადამე, ინტერესები, რომელთა დაცვაზეც საკონსტიტუციო სასამართლო აპელირებს, კანონმდებელსაც კი, ყველა შემთხვევაში დარღვეული უფლების აღდგენის ინტერესზე წონად სიკეთედ არ დაუნახავს და უფლებათა დაცვის იმაზე მაღალი ხარისხი შემოგვთავაზა, ვიდრე ამას საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრები საჭიროდ მიიჩნევენ.

39. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, რომელზეც სახალხო დამცველი სადავოდ ხდიდა მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების დამდგენი ნორმების კონსტიტუციურობას, საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა გასაჩივრებული ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებაზე, იმ არგუმენტზე მითითებით, რომ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, პირებს, ვისი საქმეც განიხილეს არაკონსტიტუციური პროცედურით განწესებულმა მოსამართლეებმა, ექნებოდათ თავის დაცვის შესაძლებლობა, სათანადო საპროცესო მექანიზმების გამოყენებით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მხარის პოზიციას სადავო ნორმების მოქმედებით სხვა პირების სამართლიანი

---

[16] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-19 პარაგრაფი.

[17] იხ., №678 კონსტიტუციური სარჩელი.

[18] იხ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

სასამართლოს უფლების მიმართ გამოუსწორებელი შედეგის საფრთხის არსებობის შესახებ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების ვალდებულებაა, უზრუნველყოს მართლმსაჯულების სისტემის ადეკვატურობა მართლმსაჯულების ფუნქციის სრულყოფილი განხორციელებისა და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტურად სარგებლობის გარანტირებისათვის.... საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე გულისხმობს პირის უფლებას, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად, მიმართოს კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად დაკომპლექტებულ სასამართლოს. ... ამდენად, პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი საქმიდან იმ მოსამართლის ჩამოცილება, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციით მოსამართლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამავე დროს, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძველს იმ შემთხვევაში, თუ იგი არაუფლებამოსილი პირის მიერ არის მიღებული (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). ამგვარად, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მიერ საქმის განხილვა არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, პირი აღჭურვილია უფლების დაცვის სათანადო საპროცესო მექანიზმებით.[19]

40. ანალოგიური მსჯელობა განავითარა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე, რომლის ფარგლებშიც გასაჩივრებული იყო იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც იწვევდა სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას. მოსარჩელე ითხოვდა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებას გამოუსწორებელ ზიანზე მითითებით. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა: „ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებით საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს მისთვის დაკისრებული კონსტიტუციური ფუნქციის ქმედითობას. იმავდროულად, აქტები, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს და ძალადაკარგულად აცხადებს, არაკონსტიტუციურია მათი მოქმედების სრულ პერიოდში და ამა თუ იმ უფლების დარღვევას იწვევენ მისი მოქმედების, სამართლებრივი შედეგის დადგომის მომენტიდან. აღნიშნულისაგან საპირისპირო მსჯელობის არსებობის პირობებში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანობა, ძირითადი უფლებებისა და

[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №3/24/1459 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32-33.

თავისუფლებებით ხელისუფლების ბოჭვის ვალდებულება. ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავოდ გამხდარი ნორმები არაკონსტიტუციურია, ისინი სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობას შეზღუდავენ იმ მომენტიდან, როდესაც ფაქტობრივ და სამართლებრივ შედეგებს დააყენებენ, კონკრეტულად კი პირველი მარტიდან. შესაბამისად, მოსარჩელისთვის სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობის შეწყვეტა არაკონსტიტუციური იქნება ნორმების ძალაში შესვლის მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკითხის შინაარსისა და მოწესრიგების სფეროს გათვალისწინებით, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის პირობებში, მოსარჩელეს არ ეზღუდება უფლება, მოითხოვოს არაკონსტიტუციური ნორმების მოქმედებით დამდგარი შედეგის აღმოფხვრა. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა პირის საჯარო თანამდებობის განხორციელების უფლების არაკონსტიტუციური შეზღუდვა, სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს პირის ძირითადი უფლებების აღდგენა-გამოსწორება. მოცემულ შემთხვევაშიც, არ არსებობს გარემოება, რომელიც, სადავო ნორმათა არაკონსტიტუციურად ცნობის პირობებში, სახელმწიფოს გაათავისუფლებდა უფლებაში მოსარჩელის ეფექტიანად აღდგენის ვალდებულებისაგან. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს ზიანი, რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე, „გამოუსწორებლად“ სამართლებრივი თვალსაზრისით“.[20]

41. საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული აქტებიდან იკითხება ხედვა, რომლის პირობებშიც, სახელმწიფო ვალდებულია, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდგომ აღადგინოს პირის დარღვეული უფლებები, მატერიალური სისხლის სამართლით გამოწვეული დარღვევების მიღმაც.

42. მაშასადამე, მსჯელობა, რომლის საფუძველზეც, ჩვენმა კოლეგებმა გამორიცხეს ძალადაკარგულ ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, არც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას (სხვა აქტებში განვითარებულ სტანდარტებს), შეესატყვისება და არც განსახილველ განჩინებაში მათ მიერ წარმოდგენილ საკითხებს წყვეტს თანმიმდევრულად.

4. მოსარჩელეთა მიმართ ირიბი ჩვენების საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კონსტიტუციურ მოთხოვნებთან თავსებადობა

43. როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის №1/1/1673 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23.

სასამართლოში რეგისტრაციის/შემოტანის დროისათვის ძალადაკარგულად ცნობილი ისეთი ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებაზე, რომლებიც აღარ არის მოსარჩელის მიმართ აქტუალურ დროში გამოყენებადი. სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე №1458 და №1556 გაერთიანებული კონსტიტუციური სარჩელების ფარგლებშიც, მოსარჩელეები სწორედ იმას ითხოვდნენ, საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო კონტროლი განევრცო მათ მიმართ წარსულში გამოყენებულ და ძალადაკარგულ ნორმებზე, როდესაც ამავე ნორმების საფუძველზე, უკვე მიღებულია სასამართლო გადაწყვეტილებები და ისინი დიდი ხანია ძალაშიც არის შესული.

44. საკონსტიტუციო სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებლად მიიჩნევს სადავო ნორმათა კონსტიტუციურობის შეფასებას, მსჯელობას აგრძელებს და ასკვნის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ის ისედაც ვერ ხედავდა რაიმე განსაკუთრებულ საჭიროებას, მათ შორის, მოსარჩელეთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რომელიც მას კონსტიტუციური სარჩელების (ამ ნაწილში) არსებითად განსახილველად მიღებისკენ უბიძგებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა არასწორ ვარაუდებსა და წარმოდგენებს ემყარებოდა, ერთი მხრივ, ირიბი ჩვენებების გამოყენების გამო მათი უფლებების ნაგულვებ დარღვევასთან (რომ თითქოს მათი ბრალი უტყუარად ანუ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ იყო დამტკიცებული) და, მეორე მხრივ, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის გზით, დარღვეულად ნაგულვები უფლებების დიდი ალბათობით აღდგენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

45. საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციურ სტანდარტზე, ირიბი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენების დასაშვებ ფარგლებზე და მოსარჩელეთა გამამტყუნებელ განაჩენებზე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლო გავლენაუნარიანობაზე. ხსენებულ საკითხებთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციას ცალ-ცალკე შევაფასებთ.

4.1.უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის კონსტიტუციური სტანდარტი

46. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

47. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებმა, განმარტეს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულება და დაადგინეს, რომ „უტყუარობა“

ყოველი ცალკეული მტკიცებულების შინაარსობრივი მახასიათებელი კი არ არის, არამედ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობისა, რომლებსაც მსჯავრდება ეყრდნობა. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა, რომ, ზოგიერთ კონტექსტში, „უტყუარ მტკიცებულებებში“ შეიძლება მართლაც ამოკითხულ იქნეს ყოველი ცალკეული მტკიცებულების უტყუარობა, ოღონდ არა ბრალდების დამტკიცების საკითხში მათი უნარიანობის თვალსაზრისით, ანუ, მათი შინაარსის გამო, არამედ, საპროცესო-სამართლებრივი უტყუარობა, მათი ვალიდურობა და ლეგიტიმურობა. საპროცესო გაგებით, ნებისმიერი მტკიცებულება, მათ შორის, „ირიბი ჩვენებაც“, უტყუარია, თუ ის კანონის საფუძველზეა მოპოვებული.[21]

48. განსხვავებული აზრის ავტორები ვერ დავეთანხმებით ჩვენი კოლეგების მოსაზრებას გამამტყუნებელი განაჩენის უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოტანის კონსტიტუციური სტანდარტის განმარტებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია (და ამგვარი განმარტება დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც), რომ „უტყუარობა“ გულისხმობს არა მხოლოდ მტკიცებულებათა ერთობლიობით პირის დამნაშავეობის გონივრულ ეჭვს მიღმა, უტყუარად დადგენას, არამედ აღნიშნული გარანტია ასევე მოიცავს ცალკეული მტკიცებულების უტყუარობასაც, შინაარსობრივი თვალსაზრისით.

49. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - „*in dubio pro reo*“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე. მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობისა თუ შეცდომების შედეგად არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება.[22]

50. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტის დასაკმაყოფილებლად დაადგინა შემდეგი მოთხოვნები: უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს არა მხოლოდ საეჭვო მტკიცებულების დაუშვებლობის მითითებას - უნდა გამოირიცხოს ეჭვი მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ, არამედ ასევე მოთხოვნას, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ

[21] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის 27-ე და 28-ე პარაგრაფები.

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს. მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს იმ მინიმალურ გარანტიებს, რომლებიც გამორიცხავს პოტენციურად მცდარი, საეჭვო მტკიცებულებების ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენების შესაძლებლობას.[23] ამასთანავე, „მტკიცებულების უტყუარობას - კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ან უზრუნველყოფილი მისი შემოწმება. ... სათანადო პროცესუალური სტანდარტების შემცველი, არაორაზროვანი ნორმების საფუძველზე, სასამართლოს, კონკრეტული საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა შეეძლოს წარმოდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობის, მათი მნიშვნელობისა და უტყუარობის შეფასება“.[24]

51. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის პროცესში დასაშვები უნდა იყოს ისეთი მტკიცებულება, რომლის სანდოობა, ზოგადად, არ იწვევს ეჭვს და, როგორც წესი, ინფორმაციის სანდო წყაროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული.[25]

52. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს, ერთი მხრივ, იმას, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უტყუარ (სანდო, გაუყალბებელ) მტკიცებულებებს ეფუძნებოდეს, მეორე მხრივ კი, იმასაც, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ეჭვგარეშე დასტურდებოდეს პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში.[26]

53. ბუნებრივია, ვიზიარებთ პლენუმის წევრების იმ განმარტებას, რომ ცალკეულ მტკიცებულებათა უტყუარობაში არ მოიაზრება, რომ ყოველი მტკიცებულება, რომელსაც განაჩენი ეყრდნობა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ცალკე, დამოუკიდებლად, უტყუარად უნდა ამტკიცებდეს შესაბამისი პირის მიერ შესაბამისი დანაშაულის ჩადენას და, ამდენად, თითოეული მათგანი თვითკმარი საფუძველი უნდა იყოს გამამტყუნებელი განაჩენისათვის. თუმცა კონსტიტუციის მოთხოვნას წარმოადგენს თითოეული მტკიცებულება, რომელსაც გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება, იყოს უტყუარი შინაარსობრივი

---

[23] იქვე, II-7, 8.

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11, 25.

[25] იქვე, II-26.

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-77.

მახასიათებლითაც. არასანდო, გაყალბებული, საეჭვო, ჯეროვნად შეუმოწმებელი მტკიცებულება არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას, საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის.

4.2.გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად ირიბი ჩვენების გამოყენების დასაშვებობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

54. მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტის განმარტების შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებმა შეაფასეს ირიბი ჩვენების საფუძველზე განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა, შედეგები და კონსტიტუციურ პრინციპებზე მისი გავლენა.

55. ჩვენი კოლეგების განმარტებით, სადავო ძალადაკარგული ნორმები წარმოადგენდა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული იმ საპროცესო კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს, რომელიც სრულიად განსხვავებულ პრინციპებზე იყო აგებული და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გულისხმობდა სასამართლოს ინკვიზიციურ როლს მტკიცებულებათა მოძიებისა და გამოკვლევის საკითხში. ამასთანავე, მოითხოვდა სისხლის სამართლის საქმეზე მატერიალური ჭეშმარიტების დადგენას. იმავდროულად, სასამართლომ დაადგინა, რომ ირიბი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენების რისკები, როგორც ფორმალურად, ისე არსებითად, დიდწილად იყო განეიტრალებული ბრალის გონივრულ ეჭვს მიღმა დამტკიცების ვალდებულებით, რომელიც, თავის მხრივ, დაყრდნობილი უნდა ყოფილიყო „ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე“. საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ძალადაკარგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე გამოტანილი ყველა გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობოდა ბრალეულობას, რომელიც მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე, უტყუარად, გონივრულ ეჭვს მიღმა იყო დამტკიცებული.[27]

56. ვერ დავეთანხმებით ჩვენი კოლეგების შეფასებას გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. იმავდროულად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განმარტება არ შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებითა (საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილებით (საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დადგენილ სტანდარტებს.

[27] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის 26-ე და 29-ე პარაგრაფები.

57. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაში იმსჯელა იმ ნორმების კონსტიტუციურობაზე, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე, ითვალისწინებდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „სისხლის სამართლის საქმეში შესაძლოა არსებობდეს ირიბი ჩვენება, რომელიც განსხვავებული გარემოებების დასამტკიცებლად იქნება წარმოდგენილი და რომელიც სხვა რელევანტურ ინფორმაციასთან ერთად შექმნის მტკიცებულებათა ერთობლიობას. ირიბი ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ან იყოს „დამხმარე“ ხასიათის, ადასტურებდეს საქმისთვის მნიშვნელოვან „გვერდით“ ფაქტს ან გარემოებას“.[28] ხსენებულ საქმეზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადინა, რომ ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა და მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს. კერძოდ, სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდოა ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისამართლებრივ საქმეს უკავშირდება. ასევე რთულია იმის განჭვრეტა, თუ როგორ ჩვენებას მისცემდა ეს პირი, ის რომ სასამართლოში გამოცხადებულიყო. ამდენად, დადგენილი პრაქტიკით, ირიბი ჩვენების დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნევის ზოგადი წესი კონსტიტუციის საწინააღმდეგოა.[29]

58. საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტება, ირიბი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენების დაუშვებლობასთან დაკავშირებით, დასტურდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილებითაც (საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

59. კერძოდ, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენდა გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძვლად იმ ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციელის ჩვენების გამოყენების კონსტიტუციურობა, რომელშიც ეს უკანასკნელი, სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე, გადმოსცემდა ოპერატიული ინფორმაციის

---

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

[29] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29-52.

წყაროს მონათხრობს. სასამართლომ გაიზიარა პოზიცია, რომ ასეთი ჩვენების ობიექტური მნიშვნელობა ბრალის დადგენისათვის მინიმალურია. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული პოლიციელის ჩვენება, თავისი ბუნებით, შინაარსობრივად არსებითად არ განსხვავდებოდა მოწმის ირიბი ჩვენებისაგან. ხსენებულ გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად დაეყრდნო თავისსავე 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებას და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებას, რომელიც ეფუძნებოდა ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით.[30]

60. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან ნათლად იკვეთება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად მიიჩნევს ირიბი ჩვენების/ირიბი ჩვენების მსგავსი მტკიცებულებითი წონის ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძვლად გამოყენებასაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჩვენების ობიექტური მნიშვნელობა ბრალის დადგენისათვის შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, მინიმალური იყოს. აღნიშნულის გამო მივიჩნევთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 25 ივლისის №3/7/1458,1556 განჩინებით, საქმის გადაწყვეტის მიზნით გაკეთებული სამართლებრივი განმარტებები და დათქმები წინააღმდეგობაში მოდის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მყარად ჩამოყალიბებულ რელევანტურ პრაქტიკასთან და არ იზიარებს ამ უკანასკნელის ლოგიკასა და სულისკვეთებას. თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ №1458 და №1556 კონსტიტუციური სარჩელები, ხმების გაყოფის გამო, არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად და, შესაბამისად, ირიბი ჩვენების დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნევასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა და უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის მიღების კონსტიტუციური სტანდარტი შეცვლილად არ უნდა ჩაითვალოს.

4.3.სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლო შედეგი მოსარჩელეთა გამამტყუნებელ განაჩენზე

61. ჩვენმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ გასაჩივრებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, პროცედურულად, შეიძლება მოჰყვეს

[30] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-88, 89.

მოსარჩელეთა მსჯავრდებისა და სასჯელის გადასინჯვა და, მაშასადამე, უფლების შეზღუდვის შეწყვეტაც, თუკი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შეტანილ შუამდგომლობას სააპელაციო სასამართლო დააკმაყოფილებს. თუმცა განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობა ავტომატურად არ გულისხმობს, რომ გადასინჯვას, მტკიცებულებებიდან ირიბი ჩვენებების ამორიცხვის გამო, შედეგად მოჰყვება გამამართლებელი განაჩენი ან ბრალდების შემსუბუქება, ანდა მისჯილი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ზომის შემცირება. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებმა განმარტეს, რომ სისხლის სამართლის ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, ავტომატურად, შეიძლება არ იწვევდეს იმ პირის გამართლებას ან პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, ვის საქმეშიც ეს ნორმა იყო გამოყენებული. სრულიად განსხვავებული მოცემულობები შეიძლება წარმოიშვას იმის მიხედვითაც, პროცესუალურსამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მოხდება თუ მატერიალურსამართლებრივისა. მატერიალურსამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევებისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმის ან მისი ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობა, მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი, როდესაც ის არსებითად არის დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსთან ან/და კონკრეტულ საქმესთან. ამრიგად, ჩვეულებრივ, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, შესაფასებელი საკითხია, თუ რამდენად არსებითად არის დაფუძნებული პირის მსჯავრდება იმ საპროცესოსამართლებრივ ნორმაზე, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.[31]

62. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრები, თავადაც უშვებენ შესაძლებლობას, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, შესაძლოა შედეგად გამოეწვია განაჩენის გადასინჯვა, თუმცა განმარტავენ, რომ, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებული იყო რა პირის ბრალეულობა უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არ არსებობდა განაჩენის მოსარჩელეთა სასიკეთოდ შეცვლის ალბათობა.[32] საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებმა თავად გადაწყვიტეს, აწონ-დაწონეს, რა მტკიცებულებითი ძალა ჰქონდა მოსარჩელეთა სისხლის სამართლის საქმეზე ირიბ ჩვენებას და მიიჩნიეს, რომ ბრალდება მხოლოდ ან უმთავრესად, მას არ დაყრდნობია.

63. განსხვავებული აზრის ავტორები ვერ დავეთანხმებით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრების ზემოაღნიშნულ ხედვას და მივიჩნევთ, რომ აღნიშნული მიდგომა, ასევე წინააღმდეგობაში მოდის, საქართველოს

[31] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის 24-ე და 25-ე პარაგრაფები.
[32] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის 24-ე და 29-ე პარაგრაფები.

კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, მათ შორის, საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის დანაწილებული უფლებამოსილებების გააზრებასთან.

64. კერძოდ, განსახილველი შემთხვევის მსგავსად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებით, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად, ირიბი ჩვენების გამოყენების არაკონსტიტუციურად ცნობის შემდგომ, საერთო სასამართლოები დადგნენ არაკონსტიტუციური, საპროცესოსასამართლებრივი ნორმის შედეგად დამდგარი განაჩენის გადასინჯვის აუცილებლობის წინაშე. პრაქტიკაში, საერთო სასამართლოს მოსამართლეები აფასებდნენ, რა გავლენა იქონია კონკრეტულ საქმეზე ირიბმა ჩვენებამ და მისი ამორიცხვით, დადგებოდა თუ არა იგივე გამამტყუნებელი განაჩენი. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 7 ივლისის განჩინების (საქმეზე №6აგ-23) შესაბამისად, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 იანვრის განჩინება, რომლითაც ადვოკატის შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, დაუშვებლად იქნა ცნობილი. საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტები იმის თაობაზე, რომ, ირიბი ჩვენების გარდა, საქმეში არსებობდა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის საკმარისი მტკიცებულება.

65. ამასთანავე, ირიბი ჩვენების საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის ზემოაღნიშნული სტანდარტი არ არის ახალი და მასზე თავად საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს მისსავე აქტში. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/3/685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820 განჩინებაში, რომელშიც განსახილველი საქმის იდენტურად, საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) ნორმების არაკონსტიტუციურობაზე მიუთითებდა, საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის შედეგად განმარტა: „2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულად განსაზღვრავს როგორც განცხადების დასაშვებობის, ისე მისი არსებითი განხილვის წესებს და ამავე დროს ადგენს იმ სტანდარტს, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს განაჩენის გადახედვისას. სხვაგვარად, 2009 წლის საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით სააპელაციო სასამართლო ატარებს განხილვას, მათ შორის ახლად აღმოჩენილი გარემოების კონტექსტში იკვლევს ახალ მტკიცებულებებს და, შედეგად, აფასებს, თუ რა სახის გავლენა მოახდინა ახლად აღმოჩენილმა გარემოებამ მიღებულ განაჩენზე, ახლად აღმოჩენილი გარემოების გათვალისწინებით (მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული ირიბი

ჩვენებების ამორიცხვით) იქნებოდა თუ არა იგივე გადაწყვეტილება მიღებული, კვლავ იარსებებდა თუ არა გამამტყუნებელი განაჩენის მიღების საფუძველი“.

66. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ირიბი ჩვენების საფუძველზე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობის დამდგენი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგად, საერთო სასამართლოებმა დაიწყეს საქმეების გადასინჯვა და იმის შეფასება, ირიბი ჩვენებების ამორიცხვით, იქნებოდა თუ არა იგივე განაჩენი მიღებული. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაძლოა, გამხდარიყო საერთო სასამართლოების მიერ საქმის გადასინჯვისა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი. იმ გარემოებაზე, რომ, ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით განაჩენის მიღება შესაძლოა კონსტიტუციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდეს და უდანაშაულო პირის დამნაშავედ ცნობას განაპირობებდეს, მიუთითებს თავად საერთო სასამართლოების სისტემის უმაღლესი ინსტანციის, უზენაესი სასამართლოს ხედვაც, რომელმაც, წლების წინ, მოსარჩელეთა მსგავსი სასარჩელო მოთხოვნით მომართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) საფუძველზე, ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით მიღებული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის დაშვებას.[33]

67. იმავდროულად, ბუნებრივია, გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობა ავტომატურად არ ნიშნავს პირის გამართლებას, თუმცა რა გავლენა ჰქონდა ირიბ ჩვენებას პირის დამნაშავედ მიჩნევაში, საერთო სასამართლოების მიერ შესაფასებელი საკითხია. საკონსტიტუციო სასამართლოს არც კონსტიტუციური კომპეტენცია აქვს იმისა, გაარკვიოს და დაადგინოს, რა გავლენას ახდენს კონკრეტული მტკიცებულება პირის ბრალეულობის დადგენაზე და არც შესაბამის სისხლის სამართლის მასალებზე წვდომა გააჩნია. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი სწორედ საქმის განმხილველ, დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, სწორად და სამართლიანად გადაწყვიტოს სამხილებს შორის კონფლიქტი და ბრალდებულის უდანაშაულობაში ეჭვის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. ამდენად, მხოლოდ საერთო სასამართლოს უფლებამოსილება და ტვირთია, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, საქმეზე

[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/3/685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820 განჩინება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

არსებული ფაქტებისა და გარემოებების სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი გადაწყვეტილებების გამოტანა.[34]

68. ამრიგად, მოქმედ სამართლებრივ რეალობაში, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუცია გამორიცხავს ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, საერთო სასამართლოები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილების საფუძველზე, პრაქტიკაში გადასინჯავენ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეფუძნება ირიბ ჩვენებას. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოთავსებული არიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მხოლოდ იმიტომ ეთქვათ უარი მათ წინააღმდეგ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენებული სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებაზე, რომ იგი ფორმალურად ძალადაკარგულია. შედეგად, მოსარჩელეებს წაერთვათ შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, მოეთხოვათ მათ წინააღმდეგ არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სტანდარტი კი, როგორც ძველი, ასევე ახალი კოდექსითაც, არსებითად იგივეა.

69. სასამართლო, რომელიც იაზრებს თავისუფლების ფასს, უფლების შინაარსს, ფარგლებს, არ უნდა უშვებდეს საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა იმგვარი ნორმების მოქცევას, რომელთა არაკონსტიტუციურად ცნობაც გავლენაუნარიანია პირის გამამტყუნებელ განაჩენზე. შესაბამისად, ფორმალურად ძალადაკარგული სადავო ნორმების არსებითად განსახილველად მიღების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებდა მათ კონსტიტუციასთან შესაბამისობას, რაც, მოსარჩელებისთვის, საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს ეფექტიან ინსტიტუციურ მექანიზმად აქცევდა.

დასკვნა

70. ძალადაკარგული ნორმების საკონსტიტუციო კონტროლის სფეროდან გამორიცხვა აკნინებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მნიშვნელობას, საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედითობას, ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს ყველა საჭირო და, ამავდროულად, საკმარისი მექანიზმები, რათა შეასრულოს მისი ძირითადი

[34] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-99.

მანდატი – დაიცვას კონსტიტუციის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ნდობას მისი გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხი და დარღვეულ უფლებებზე რეაგირების ეფექტიანობა განსაზღვრავს. საკონსტიტუციო კონტროლის ამგვარი შეზღუდვა, საქართველოს კონსტიტუციით მოაზრებული გარანტიების უგულებელყოფა კი სასამართლო ხელისუფლების პრაქტიკული ქმედითობის მიმართ უნდობლობის საბაბად შეიძლება იქცეს.

71. იმავდროულად, სრულიად გასაგებია, რომ კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის/შემოტანის დროისათვის ძალადაკარგულად ცნობილ ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის გაუვრცელებლობა ნაკარნახევი იყოს ფრთხილი დამოკიდებულებით, რისკი არ შეექმნას უკვე აღსრულებულ მართლმსაჯულებას, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს თუ სხვა ინტერესებს, თუმცა აღნიშნული ვერაფრით გაამართლებს მის საპირწონედ არსებულ შესაძლო არაკონსტიტუციური ნორმების საფუძველზე, პირის საპატიმრო დაწესებულებაში უსამართლოდ მოთავსების საფრთხეებს.

72. გვჯერა, რომ საქართველოს კონსტიტუციას თავისთავად გააჩნია ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ყველა შესაძლო შემთხვევაზე რეაგირების ამბიცია და მისწრაფება. იმავე მასშტაბის მისწრაფება უნდა ჰქონდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც.

შედეგად, განსხვავებული აზრის ავტორები იმედს ვიტოვებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრები სამომავლოდ გადაიაზრებენ განსახილველ საქმეში დადგენილ პრაქტიკას და შეცვლიან მიდგომას. ამ გაცხადებულ, თამამ იმედს არა მხოლოდ ჩვენს მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და მოსამართლეთა ხმების შუაზე გაყოფა გვიმყარებს, არამედ თავად ჩვენი კოლეგების შეფასება და მათი მომავლისკენ მიმართული შემდეგი დაშვება განაპირობებს -

„სასამართლო არც იმას გამორიცხავს, რომ დროთა განმავლობაში, პრაქტიკამ შესაძლოა თვალსაჩინო გახადოს ძალადაკარგულ ნორმებზე კონტროლის განხორციელების რაიმე სხვა წინაპირობა ანდა სრულად ახლებურად იქნეს გადააზრებული ეს თემა და მასთან დაკავშირებული საკითხები.“[35]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები:

გიორგი თევდორაშვილი

[35] №3/7/1458,1556 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-7 პარაგრაფი.

ირინე იმერლიშვილი

გიორგი კვერენჩხილაძე

თეიმურაზ ტუღუში

ასლი დედანთან სწორია
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

გიორგი თევდორაშვილი

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა